# თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 33

## 30 აგვისტო, 2024 წელი

## ქ. თეთრიწყარო

### 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, 46-ე მუხლების საფუძველზე

**მუხლი 1.**

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული სააგიტაციო მასალის განსათავსებლად გამოიყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები;
2. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოსაფენად გამოყენებული იქნეს სარეკლამო აბრები და საინფორმაციო სტენდები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრის ან მფლობელის თანხმობის შემთხვევაში.
4. სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს:

ა) რელიგიურ და საკულტო ნაგებობებზე;
ბ) კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობზე;
გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
დ) პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
ე) სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
ვ) საგზაო ნიშნებზე;
ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
თ) ძეგლებსა და ბიუსტებზე;
ი) მუზეუმის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
კ) სოფლებში არსებულ ,,შინმოუსვლელთა ობელისკის“ ტერიტორიაზე;
ლ) ქ. თეთრიწყაროში მდებარე საავადმყოფოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
მ) შენობებზე, სადაც განთავსებულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები

5. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, აღნიშნული ექვემდებარება ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას.
6. დაევალოთ საარჩევნო სუბიექტებს სააგიტაციო მასალის იმგვარად გაკვრა/გამოფენა, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში მათი ჩამოხსნის შედეგად არ მოხდეს მუნიციპალიტეტის იერ-სახის დამახინჯება;

7. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მუხლი 2.**
განკარგულება ცნობისათვის გადაეგზავნოს N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 3.**
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.**
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ.N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

ავთანდილ მუხაშავრია
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2024.08.30 13:13:19 +04'00'